დამტკიცებულია თჰუ აკადემიური საბჭოს

2025 წლის 08 ივლისის N11 გადაწყვეტილებით

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის

გენერაციული ხელოვნული ინტელექტის გამოყენების შესახებ

დებულება

1.ზოგადი დებულებები

ეს დებულება აწესრიგებს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის პროცესში, მათ შორის, სწავლა-სწავლებისა და შეფასების დროს გენერაციული ხელოვნული ინტელექტის გამოყენების ფარგლებს. რომელიც ვრცელდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებზე, აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალზე.

2.მიზანი

დებულების მიზანია, ხელი შეუწყოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის ათვისებას, მის პასუხისმგებლიან, უსაფრთხო და კეთილსინდისიერ გამოყენებას აკადემიური საქმიანობის პროცესში.

3. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დასაშვები ფარგლები

3.1. გენერაციული ხელოვნული ინტელექტის გამოყენება დაიშვება შემდეგ შემთხვევებში:

- აკადემიური ნაშრომის დაგეგმვა;
- იდეების გენერირება და სტრუქტურის შექმნა;
- მასალების მოძიება;
- მონაცემთა ანალიზი და შედარება;
- გრამატიკული და ტექნიკური რედაქტირება (როდესაც არ ხდება ნაშრომის შინაარსობრივი გადამუშავება).

3.2. სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ლექტორი უფლებამოსილია, კურსის შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით, ასევე, ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობით და ეთიკურად გამოყენების პრინციპების დაცვით, დააინტეგრიროს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კურსის სილაბუსში, კერძოდ, განსაზღვროს, არის თუ არა დასაშვები კურსის ფარგლებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და რა მოცულობით შეიძლება იქნეს გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი კონკრეტული დავალების შესასრულებლად. ლექტორის მიერ კურსის სილაბუსში გაწერილი მითითებები შესაბამისობაში უნდა იყოს წინამდებარე დებულებით დადგენილ რეგულირებასთან.

4.გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების აკრძალვა

4.1. იკრძალება გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შემდეგ შემთხვევებში:

- აკადემიურ ნაშრომში კრეატიული, კრიტიკული ან/და ანალიზის ნაწილების გენერირება.

- აკადემიური ნაშრომის ისეთი მონაკვეთის შესაქმნელად, რომელიც ეხება ძირითად მიგნებებს, დასკვნასა და რეკომენდაციებს.
- სხვისი ტექსტის პერიფრაზირება გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე, ასევე, ამ სახით მიღებული ნაშრომის საკუთარ ტექსტად წარმოდგენა. ასეთი პრაქტიკა ითვლება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევად.
- გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება წყაროების ხელოვნურად შესაქმნელად ან მისასადაგებლად.
- თუ სასწავლო კომპონენტის სილაბუსში პირდაპირ არის მითითებული, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ნებადართული არ არის.

4.2. დაუშვებელია გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ისეთი ნაშრომის შეფასებისას, რომელიც არის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა.

5. კონფიდენციალურობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

დაუშვებელია გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებში პერსონალური მონაცემების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და ბიომეტრიული მონაცემების გაზიარება.

6. მითითების სტანდარტი

6.1. გენერაციული ხელოვნურ ინტელექტის გამოყენება სათანადოდ უნდა აისახოს აკადემიურ ნაშრომში, კერძოდ, თუ რა მიზნით და რა მოცულობით იქნა გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები.

6.2. გამომყენებელი ვალდებულია, გადაამოწმოს ხელოვნური ინტელექტის მიერ წარმოდგენილი წყაროების ნამდვილობა, სანდოობა და შესაბამისი მითითება გააკეთოს პირველწყაროდან.

7. პასუხისმგებლობა

ა. ამ დებულების დარღვევა გამოიწვევს შემდეგი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას:

- ნაშრომის თავიდან შესრულების მოთხოვნა;
- ნაშრომის შეფასების გაუქმება;
- განმეორების შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

ბ. ნებისმიერი საჩივარი 7.1. პუნქტში მითითებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განიხილება უნივერსიტეტის შინაგანაწესის მიხედვით სადისციპლინო კომისიის მიერ. კომისიას შესაძლოა მიმართოს ნებისმიერმა მხარემ, რომელსაც ლეგიტიმური ინტერესი აქვს დისციპლინური წარმოების მიმართ.

8. დასკვნითი დებულებები

დებულება ძალაშია აკადემიური საბჭოს მიერ მის დამტკიცებისთანავე, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ.